შაბათი, 22 მაისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 შაბათი, 22 მაისი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 119 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 119

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს

## საზაფხულო სამყოფი

### ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთ-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:** 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

### გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

## ჯგუფი

## ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

ტარ. მომცელიძისა.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе. (წლ.).

## ახალი წიგნი

### ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

## ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

## ქართული თეატრი

შაბათს, 29 მაისს 1904 წ.

არტისტის
ს. ო. აბაშიძის სასარგებლოდ

ქართულ თეატრის არტისტები წარმოადგენენ:

I

## ცხოვრების გარეშე

კომ. 4 მოქმ. თხზ. პროტოპოპოვისა

II

ახალი პიესა

## დარისპანის გასაჭირი

სცენები 1 მოქმ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.

**მოთამაშენი:** ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნებიერიძე, ჯავახიშვილისა, დავითაშვილისა და რონელი; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, მოსკოველი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

გამგე კომიტეტი ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას ამა **მაისის** 23 დღეს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დანიშნულია **განგრძობა** ამავე მაისის 20 დღის საზოგადო კრება. (2—1).

## ქართული თეატრი

კვირას, 23 მაისს, 1904 წ.

**დაკლებულის ფასებით**

ქართულ დრამატ. დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

## და-ძმა

ისტორ. დრამა 5 მოქმედებად ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. დავითაშვილი, ალექსი-მესხიშვილი. ბ.ბ. სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, იმედაშვილი, სარჯველაძე, ბაქრაძე, გვარაძე, ბეგლარიძე, ჩიქოვანი და სხვა.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

**ადგილების ფასი დაკლებულია,** მოწაფეთათვის 40 კაპ.

რეჟისორი ს. სვიმონიძე

გამგე ბ. ბეგლარიძე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში. (3 ნ.—3)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 165 გვ.
ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».
ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ჟორდანიას ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელის ბეჟ. ქუჩა. სახლი მიკოლისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**ზ. ს. ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი-ექიმი **ა. ი. ზნერზინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

### ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვ. სიფ. და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)


## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

გერმანელთა აზრი ძინ-ჯოუს ომის შესახებ.—ვლადივოსტოკის ესკადრა. — პორტ-არტურის აღების აუცილებლობა.— „გელსინფორსის გაზეთის» საქციელი.— ინგლისის საელჩოს აზრი იაპონიის ფლოტის შესახებ,

გერმანელი სამხედრო კაცები ამბობენ, ძინ-ჯოუს ბრძოლა ეპოქას შეადგენს სამხედრო ხელოვნების ისტორიაშიო. იქ შეიყარნენ ორნი ერთი-ერთმანეთის ღირსნი მოპირდაპირენი. მეციხოვნეთა გმირობა იერიშის მიმტანთა თავგანწირულობას უდრიდა. გერმანელების სტრატეგიას დღემდე შეუძლებელად მიაჩნდა ამ გვარ ციხის აღება იერიშით, რადგან მხედველობაში ჰქონდა ეხლანდელის თოფ-იარაღის ძლიერება და ციხის დაცვის ტეხნიკა. მთავარ-შტაბის ერთი აფიცერი სწერს: ეხლა ნათლად დამტკიცდა, რომ პირდაპირ იერიშით მომავალმა მტერმა იერიშით აიღოს ციხე-სიმაგრე, რასაც გერმანელთა ახალი სამხედრო თეორია უარჰყოფდა. გაზეთ «ვოს. ცეიტუნგის» თანამშრომელი ამბობს: ძინ-ჯოუს ბრძოლა ამიერიდგან კლასიკურ მაგალითად იქმნება მიღებული სამხედრო აკადემიებში. შეუძლებელი იყო, ამ იერიშისათვის იაპონელებს დიდი მსხვერპლი არ შეეწირათ. ვინც სამხედრო საგანში ჩახედული არ არის, იმას საზარლად მიაჩნია ამდონი მსხვერპლი და მრავალნი ამბობენ: ნუ თუ კაცობრიობამ გულგრილად უნდა უყუროს ამისთანა მოქმედებას. ყველანი ჰფიქრობენ, ამ კვირია დიდი ამბები უნდა მოხდესო. პორტ-არტური ამ დღეებში დაეცემაო.

ტოკიოდგან იწერებიან, ვითომც ძინ-ჯოუს ბრძოლაში გენერალი სტესსელი სარდლობდაო; რუსებმა ვითომც 2,000 კაცი დაჰკარგეს (რ. ვ.).

—

«დეილი ექსპრესის» კორესპონდენტის ცნობებით, ვლადივოსტოკი გადიქცევა რუსეთის ფლოტის ნავთსადგურად. ადმირალ სკრიდლოვს დავალებული აქვს, უფრო კარგად მოაწყოს ვლადივოსტოკის ციხე-სიმაგრე 10,000 ჯარის კაცთა და კრეისერების გარდა, რომლებიც აქამომდე ვლადივოსტოკში იყო, გენერალ-სკრიდლოვს დაშლილი ნაღმოსნი გემები გაეგზავნა რკინის გზით. ვლადივოსტოკის ესკადრას დავალებული ექმნება იაპონიის კუნძულები შეაწუხოს, რომ იაპონელები იძულებული გახდნენ, რამდენიმე გემი გაიყვანონ ყვითელ ზღვიდგან და თავისი კუნძულები დაიცვან. (ნოვოსტი).

—

«ნ. ვ, პ-სში» დაბეჭდილია აზრი ერთ სამხედრო მწერალისა, რომელიც ამბობს, იაპონელებისთვის საჭიროა პორტ-არტური საჩქაროდ აიღონ, რომ შორეულ-აღმოსავლეთისკენ წასასვლელად განმზადებულ ბალტიის ზღვის ესკადრამ შესაფერი ნავთსადგური ვეღარ იშოვნოს. მაშასადამე, იაპონელები ეხლავ ეცდებიან პორტ-არტურის აღებასო. ხოლო რამდენს ხანს მოანდომებენ ამ ციხე-სიმაგრის აღებას ამის თქმა ძნელია. ეს არამც თუ იერიშის მიმტანის ძალ-ღონეზეა დამყარებული, არამედ თვით ციხის მოწყობილობასა და მეციხოვნეთა მოქმედებაზედაც. იაპონე-

ლებმა ჯერ ქვანდუნის ყელი უნდა აიღონ, რომ იქიდგან გზა გაიკვლიონ პორტ-არტურისკენ. იქ ორთავ მხარეს ზღვით უნდა გადავიდეს ჯარი და იერიში მიიტანოს ძინ-ჯოუზე. ხოლო ზღვის ყურეები მინებით არის მოდებული და გემები ვერ მიეკარება, ხმელეთი კი საკმაოდ არის ყველა მხრიდგან გამაგრებული. ჯარის გადაყვანასა და ძინ-ჯოუს აღებას კარგა დრო უნდა.

თუ რომ იაპონელებმა მოახერხეს და ფლოტის დახმარებით ქვანდუნის ყელი აიღეს და დალნიც დაიჭირეს, მაშინ კი გარემოება სულ სხვა ხასიათს მიიღებს. მაშინ თვით იაპონელები გამაგრდებიან ქვანდუნის ყელზე და რუსებმა დიდი ჯარიც რომ გაგზავნონ ჩრდილოეთიდგან, ფლოტის დაუხმარებლად გელარახ გახდებიან.

მაინც და მაინც, ამ გარემოებაშიც იაპონელებს პორტ-არტური ადვილად არ ჩაუვარდებათ ხელში, რადგან ყველა ნაბიჯზე სხვა-და-სხვა დაბრკოლება დახვდებათ. (ნოვოსტი).

—

ფინურ გაზეთ «გელსინფორსის ფოსტაში» დაბეჭდილი იყო წერილი შესახებ სამხედრო ცენზურის დაარსებისა ფინლიანდიაში. ამ წერილში არ იყო მოხსენებული, რომ დროგამოშვებით მწერლობაში ცრუ ამბები არ იბეჭდებოდეს ომის შესახებ და ხალხს ნამდვილი ცნობები ეძლეოდეს შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა ვითარებისა. ამას გამო და რადგან სამხედრო ცენზურის დაარსების საჭიროება არ იყო აღნიშნულ გაზეთში განმარტებული და ამით შესაძლოა მკითხველებმა სრულიად სხვა მიზეზები იგულისხმონ, ბეჭვდითის საქმის მთავარ-სამართველომ საჭიროდ დაინახა «გელსინფორსის ფოსტას» მწერლობითი გაფრთხილება გამოუცხადოს. რედაქციამ საჭიროდ სცნა დაეთხოვა თვისი თარჯიმანი, რომელმაც რუსულიდგან ფინურად თარგმნილი დედანი დაამახინჯა. (ფ. გ.).

—

ინგლისის საელჩოს წევრს პეტერბურგში ულაპარაკნია «რუს. პრავდის» კორესპონდენტთან და, სხვათა შორის, უთქვამს:

— თქვენ გინდათ ჩვენი აზრი გაიგოთ იაპონიისა და ომის შესახებ?.. კარგი... რასაც მე გეტყვი, მარტო ჩემი აზრი არ არის. ამავე აზრისაა ჩვენის საელჩოს უფროსი გარდინი და ყველა წევრები.

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ აზიაში სწავლა-მეცნიერების გავრცელებისა, აზიელთა განვითარებისა და გაერთების საქმეში იაპონიას ბევრი რამ შეუძლიან. იაპონიის კულტურა იმდონად მაღლა სდგას სხვა აზიის ერთა კულტურასთან შედარებით, რომ არ შეიძლება აზიელებმა არ იგრძნონ, არ შეიგნონ და არ დაემორჩილონ იაპონიას. იაპონიის ზედგავლენა იაპონიაში ეხლაც ცხადადა სჩანს. ამ ხანად ისიც საკმარისია, რომ კორეა დაუმორჩილდა იაპონიის პროტექტორობას, რომელიც თანდათან უფრო განმტკიცდება.

— როგორ გგონიათ, უკანასკნელად რომ იაპონიას გემები დაეღუპა, ამით შესამჩნევად არ დაუძლურდებოდა?

— არა, ეგ არ ითქმის, ის ზიანი, რომელიც იაპონიის ფლოტს მიეცა, იმდონად მცირეა, რომ იაპონიის ძ ლას ვერ შეასუსტებს. იაპონიამ მხოლოდ მცირედენი პროცენტი დაჰკარგა და ეს არ დაუშლის, რომ ზღვაზედ კვალად ბატონად დარჩეს.

— ჩვენი ფლოტი რომ გაძლიერდეს, მაშინ ხომ იაპონია უპირატესობას დაჰკარგავს?

— თქვენ ბალტიის ესკადრაზე თუ ლაპარაკობთ, რომელიც დიდს ოკეანეზე უნდა გაიგზავნოს?

— ვსთქვათ, რომ ეგრეა. .

— იცით რა? ჩვენი აზრი არ ეთანხმება იმ იმედებს, რომელსაც ბალტიის ესკადრაზე ამყარებთ. გზა დიდია და მეტად ძნელი. უნდა მოელოდეთ, იაპონელები ყოველ ღონისძიებას მიიღებენ, რომ ბალტიის ესკადრა ვლადივოსტოკისა და პორტ-არტურისას არ შეუერთდეს. მეტსაც გეტყვით, იაპონელები თავს დასდებენ, არაფერს დაზოგავენ, რომ რუსის ესკადრა დიდს ოკეანემდე არ მიუშვან. იაპონიას საერთოდ და მეტადრე ზღვაზედ დიდი ძალა აქვს. ვიმეორებ, ძალიან დიდი, და ბალტიის ესკადრა, ვიდრე მივიდოდეს დანიშნულებისამებრ, ამ ძალას შეეხლება.

— თქვენის აზრით, როდის და როგორ უნდა გათავდეს ეს ომი?

— ახლო მომავალში ომის გათავებას არ უნდა მოველოდეთ, თუმცა ევროპა შეფიქრებულია, უფრო ახლოც არ გამწვავდეს საერთაშორისო დამოკიდებულება, და ამიტომ მოულოდნელად ელის მშვიდობიანობის დამყარებას შორეულ-აღმოსავლეთში... რითი გათავდება ომი, ამაზედ ჯერ არა ითქმის-რა. საფიქრებელი კია, რომ რუსეთს თავისი სამფლობელო ხელუხლებლად შერჩება, კორეა-კი იაპონიის პროტექტორობას ვერ მოიშორებს.

## ტფილისი

—

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მაისის 15-ს გამგზავრებულა ხერსონიდან პირველი ქორ-ეპისკოპოსი ხერსონის ეპარქიისა ყოვლად-სამღვდელო კირიონი ორიოლში, საცა ცალკე ეპარქია მიიღო ეხლახანს და მიეთვისა ასეთი სახელწოდება: ეპისკოპოსი ორიოლისა და სევისა—**Епископъ Орловскій и Сѣвскій**.

*** კვირას, 23 მაისს, ქართულს თეატრში წარმოდგენილ იქმნება ვალ. გუნიას «და-ძმა» დაკლებულის ფასებით.

*** გუშინ, 21 მაისს, დაიწყო ეგზამენები ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში. ეგზამენები 8 ივნისს დასრულდება. სპეციალურ საგნებში მოსწავლეებს ეგზამენები აგვისტოს ბოლო რიცხვებში ექმნებათ.

*** კვირას, 23 მაისს, კრება ექმნება უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ქალთა დამხმარებელ საზოგადოებას. კრებამ უნდა აირჩიოს ნამდვილნი წევრნი საზოგადოებისა, თავჯდომარე და სარევიზიო კომისიის წევრნი.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისათვის არ არის შემოღებული წესი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამ სასწავლებელში მოწაფეთა მიღების დროს. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა, სახელოსნო სასწავლებლის წესის შემოღებამდე, მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა მიეცათ ტფილისის მცხოვრებთა იმ ბავშვებს, რომელთაც ქალაქის პირველ-დაწყებითი სკოლა აქვთ დამთავრებული.

*** ტფილისის დედათა პირველ საკვირაო სკოლის გამგემ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, სკოლას ამ წელს, როგორც წინად, 300 მანეთით აღმოუჩინე შემწეობაო.

*** გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად ქუთაისში მძიმედ არის ავად მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

*** ეჩმიაძინის სინოდის პროკურორად დანიშნულ იქმნა ნადვორნი სოვეტნიკი ფრენკელი ნაცვლად დეისტ. სტატ. სოვეტ. ყანჩელისა, რომელიც ამ თანამდებობისაგან განთავისუფლებულ იქმნა თანახმად თავისის თხოვნისა. („კავ.“).

*** დღეს, 22 მაისს, ტფილისის «საკრებულოს» საზაფხულო სადგომში გაიმართება სეირნობა, რომლის მთელი შემოსავალიც გადადებულ იქმნება ტფილისის დედათა პირველ, მეორე და მეოთხე გიმნაზიების საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

*** ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და კავკასიის მუზეუმის დირექტორი ა. ნ. კაზნაკოვი, სამსახურის საქმეთა გამო, პეტერბურგს წავიდა.

*** ქუთაისის დაბალ სასოფლო-სამეურნეო სკოლის შესანახად მომავალ სამის წლის განმავლობაში საერობო თანხიდან 18.000 მანეთი გადადებულ იქმნება წელს.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 25.000 მანეთი გადაეცეს ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას. ამ დადგენილებას ქალაქის გამგეობა საბჭოს ხმოსანთა მომავალ კრებას წარუდგენს განსახილველად.

*** უკანასკნელს კვირას ბევრი საქონელი მორეკეს ტფილისის საქონლის მოედანზე, მაგრამ დასაკლავ საქონლის ფასი ისევ ისეთია, როგორც წინად. საქონელი მოურეკიათ უმეტესად ჩრდილო კავკასიიდან. ამ ჟამად კიდევ ბლომად მოჰყავთ საქონელი და უნდა ვიფიქროთ, რომ ფასები ცოტად მაინც დაიწევს და ხორციც ისე ძვირი აღარ იქმნება ტფილისში, როგორც ახლაა.

*** ტფილისის საგეოგრაფიო საზოგადოებას გადადებული აქვს ფული, რომლითაც თავის წევრნი უნდა გაგზავნოს ამ ზაფხულს კავკასიის სხვა და სხვა ადგილების გეოგრაფიულად გამოსაკვლევად. 25 მაისს საგეოგრაფიო საზოგადოების გამგე კომიტეტს კრება ექმნება ამ საგანზე. კრებამ უნდა აირჩიოს გასაგზავნად კაცნი და დაადგინოს, თვითოეულს რა მიეცეს გზისა და კამა-სმის ხარჯად.

*** ტფილისში დაიარებიან ასეთი კაცნი, რომელნიც ჰყიდულობენ და ჰყიდიან ძველს ტანისამოსს. ქალაქის გამგეობას განუზრახავს გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ძველის ტანისამოსის მოვაჭრეებმა. ამას გარდა აპირებს წინადადება მისცეს, რომ მათ ფირნის ტანისამოსი ატარონ. ამ საგნის მრავალ-მხრივ განსახილველად გამგეობას ჩქარა ექმნება კრება.

*** გუშინ, 21 მაისს, ეგზარხოსი სოფელ ოლგინსკაიაში წავიდა ეკლესიის საკურთხებლად.

*** ბრმათათვის მზრუნველ ტფილისის საზოგადოებას 1904 წ. აპრილის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 402 მან. 41 კაპ. 1904 წ. 1 მაისისათვის საზოგადოების კასაში ყოფილა 12.976 მან. 46 კაპ.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იმათ გარდა, რომელნიც აღნიშნულნი არიან «წერ.-კით.-ს წლიურ ანგარიშში, 1903 წ. საწევრო ფული გადაიხადეს შემდეგმა წევრებმა:

აბაშიძე პეტრე პავლეს ძე; ამირაჯიბი თ. სარდიონ სიმონის ძე; ბაქრაძე მიხეილ ქაიხოსროს ძე; ბაქრაძე მღ. ირაკლი; ბეჟანიშვილი ნესტორ იოსების ძე; გაბაშვილისა ეკატერინე რევაზის ასული; გაბუნია ფარნაოზ ბეჟანის ძე; გიორგაძე ივანეს გიორგის ძე; გედევანიშვილი იოსებ კონსტანტინეს ძე; გალუსტოვი ალექსანდრე ზაქარიას ძე; დარჩია ფილიპე ნიკოლოზის ძე; დევანოზიშვილი ანდრია; დიასამიძე თ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე; თუმანიშვილი სოფიო ალექსანდრეს ასული; თუმანიშვილი ვასილი ალექსანდრეს ძე; თუმანიშვილი თ. გიორგი პავლეს ძე; თუმანიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე; თუმანიშვილი ალექსანდრე პავლეს ძე; თურქია სჩანო ხოსროს ძე; იაშვილი ჯიბრაილ დავითის ძე; კანდელაკი რაჟდენ იოსების ძე; კილაძე ივანე დავითის ძე; კოხრეიძე ალექსანდრე ილარიონის ძე; მათიკაშვილი ილია, მღვდელი; მაღრაძე კორნელი ლუკას ძე; მაქარაშვილის ხინო დურმიშხანის ასული; მხეიძე ილია სპირიდონის ძე; მაღრაძე ლუკა დეკ; ნინო სამთავროს მონასტრის იგუმენია; ნიჟარაძე ივანე ბესარიონის ძე; ოქრომჭედლიშვილი ნიკოლოზ; ოცხელი იოსებ ივანეს ძე; პეტრიაშვილი ვასილი მოსეს ძე; ტარასოვი მიხეილ გიორგის ძე; ფავლენიშვილი დიმიტრი ალექსანდრეს ძე; ქარუმიძისა ანა მიხეილის ასული; ქორდანია გრიგოლ ზურაბის ძე, ყიფიანი სამსონ გიორგის ძე, ყუბანეიშვილი ნესტორ დეკ; ჩხაიძე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე; ჩეკურიშვილი დავით ივანეს ძე., ცერცვაძე გიორგი იაკობის ძე; წერეთელი სოლომონ; წერეთელი ვლადიმერ ჯიბრაილის ძე; წისამძღვარიშვილი ნოდარ ერმალოს ძე; ჭრელაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე., ჭიჭინაძე ალექსი ესარიონის ძე; ჭიჭინაძე ტარასი; ჭოლოშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე; ჭყონია პავლე ერმახლიის ძე; ჯაოშვილი ევფიმე მღვდელი., ჯაფარიძე ტრიფონ იასონის ძე; ჯაფარიძე გიორგი კონსტანტინეს ძე; ჯვარიშვილი ათანასე თეოდორეს ძე.

## სვანეთში ორის კვირით.

(შემდეგი *)

იელის საზოგადოება სამი პატარა უსინისაგანლი შესდგება—ასქაიო, სკასა და ...; 1812 წ. აქ ხალხი ამოწყდა ჭირისაგან. მდებარეობს მაღლობ ხრიაკს ფერდობზედ, მდ. ენგურის მარჯვნივ და დაფერდილია. ჩრდილოეთით მშვენიერი ფიჭვნარიანი მთა უძევს. საზოგადოებაში ოთხი საყდარია. მისავალ გზაზედვე მშვენიერ ვაკე ბორცვზედ მარცხნივ განმარტოებით სდგას მშვენიერი თლილის ქვით ნაშენი მაცხოვრის საყდარი. გარს სიპის ქვის გალავანი აქვს შემოვლებული და შესავალი ამოქოლილია ხეებით, რომ საქონელი არ შევიდეს ეზოში. ამ შესავალთან მარჯვნივ ჩრდილო დასავლეთის მხრივ მლოცავთათვის ქოხია აშენებული.

*) იხ. ივერია № 66.

საყდარი შიგნით მოხატულია ჩვეულებრივ მშვენიერის ძველი ხელოვნებით. კანკელი თლილიქვისაა, მარტო აღსავლის კარებით.

მაცხოვრის ვერცხლით შეჭედილ ხატზედ აწერია № 5 ... „ღ ო ქ ე. შეიწყალე ხატი ესე კელითა თ~ე (თეოდორე) გლეჴისძისაჲ...“

ღვთისმშობლის ვერცხლით შეჭედილს ხატზედ: № 60. «ქ. დედაო ღმრთისაო მეოხ გეყავ ... ... (?) მეუღლესა ჩემსა ... ... ... ირზ...»

წმ. კვირიკეს საყდარში შუაზედ სამი არშინის სიმაღლე დიდი ჯვარია დადგმული, მთლათ ოქროცურვილი ვერცხლით შეჭედილი.

ნათლის მცემლის საყდარშიაც მშვენიერის ხელოვნებით ოქროცურვილი ვერცხლით შეჭედილი ჯვარი დგას შუაზედ.

პატარა ღვთისმშობლის ვერცხლის ხატზედ № 61. «ქ. ... ... ... ... ...»

აქ მოხსენებული მხეცის ძე, ჩვენის ფიქრით, არის ისტორიული პირი XVI საუკუნისა სარგის; იგი იყო სიძე ამირინდო ამილახორისა. სარგისის მეუღლე ელენე დისწული იყო იმერეთის მეფის დიდის ბაგრატისა. სარგისი ფრიად შესანიშნავი პირია XVI საუკუნის დამდეგს და მოხსენებულია გელათის სოხასტრის ღვთისმშობლის ხატზედ წარწერაში [2]).

მეორე ღვთისმშობლის ვერცხლით შეჭედილ სატზედ: № 62. „ქ. უფალო წმიდაო ... ... ... ... ... რატს ...“

რატი, ჩვენის ფიქრით არის ქართლის ერისთავი სურამელი, წმ. თამარ მეფის დროს, როდესაც ეგრის-სვანეთის ერისთავნი თავის მეომარი რაზმებით მხარს უმშვენებდნენ ქართველებს ასპინძაში და ქუთაისტანში ომების დროს. [3])

აქვე ფიცარზედ დახატული იოანე მახარებლის სახე დაბალი ხელოვნებისა, XVII საუკუნისა წმ. იოანეს ხელში საპარება უჭირავს გადაშლილი და ზედ აწერია ხუცური ასო მთავრულით: № 63. «პირველ იყო სიტყუაჲ ... ... ... ... ... ...» ეს წარწერა ცხადათ გვაჩვენებს დროს, რომელსაც ეკუთვნის ხატი. ეს წარწერა წარმოადგენს დამახინჯებულს შობის დღესასწაულის მეექვსე სძლის პირს: «პირველ იონა, შთანთქმული მკეცისაგან განთავისუფლებისა, წარმოიგდო უხრწნელად და ქალწულისა მუცელსა სიტყუა ღვთისა განხორციელდა...» ხატიც და წარწერაც ეკუთვნის იმ დროს, როცა ოსმალთა გაძლიერებამ დასავლეთს საქართველოში XVI საუკუნიდგან დააუძლურა საქართველოს მეფეთა და მღვდელთმთავართა გავლენა სვანეთზედ და უკურო ხეებლი მღვდლეების (პაპი) ამათ დარჩნენ კავკასიის ცხოველყოფაში მოქცეული სვანები. ბაპები ასე ამახინჯებდნენ საქრისტიანო საგალობლებსა და ლოცვებსა.

ამ საყდარში დაცულია ტყავზედ ხელნაწერი მრავალი ფურცლები.

იოანე მახარებლის საყდარში [4]) სავსეა

[2]) იხ. ქრონიკ. ჟორდანიასი, 354, 374 გვ.

[3]) იხ. ქ.-ცხ. I, 283 გვ.

[4]) ამ საყდარში ვნახეთ ბუკი, მშვენიერი საჯდარი.., პირგანიერი ცული და მშვილდ-ისრები.

## ფელეტონი

—

### პარნასი.

მითხარი, ოქროს ჩანგისა
პატრონო ტკბილო და მძლავრო,
სად არის მგოსანთ სამოთხე,
სად არის მუზთა სამთავრო?»
მგოსანსა ვკითხე ქებულსა
დიდებულს, მოხუცებულსა.
მან ერთს მთას თვალი აავლო
ცათამდის აყუდებულსა
და მითხრა აღფრთოვანებით:
„აგერ, იმ მწვანე მთაზედა
მზის ოქროს სხივთა გვირგვინი
რომ აღგას აჰყას თავზედა,
იქ არის იგი სამოთხე,
ლამაზი გაზაფხულივით
და სულის მალხინებელი
უმანკო სიყვარულივით.
იქ ყვავის ბევრი მცენარე
ტურფა და სურნელოვანი:
ჰიმნს ეუბნება ბუნებას
სულთ ხორო კეთილხმოვანი...
ცა უალერსებს იმ ადგილს
ვით სატრფოს შეყვარებული,
და ლაჟვარდოვან გულ-მკერდში
ჰყავს იგი ჩახუტებული.
არ ჩრდილავს იმას ღრუბელი,
არც შავი ღამის წყვდიადი,
და განთიადის მზე მუდამ
მას თავს ევლება დიადი.
იმ უცხო მთაზედ ცხოვრობენ
მუზები ტკბილად მეტყველნი,
კაცობრიობის ვაების
და ლხენის გამომეტყველნი.
ფართო მშვენიერს ადგილზე,
მთის ზურმუხტოვან თხემზედა,
ძევსის ქალიშვილთ დაუდგამსთ
სასახლე სასახლეზედა...
იქ კასტილიის წყაროსა
მგოსნები ეწაფებიან,
მუსთა ქება და ტრფობაში
ერთმანეთს ეჯიბრებიან.
იქ ისმის მუდამ მუსიკა,
ტკბილი გალობა, სიცილი,
და ხანაც სევდით აღსავსე
ზოგიერთ მუზთა ტირილი.
ამ საკვირველ და ციურ ხმათ
ყურს უგდებს აღტაცებული,
ქვეყანა მრავალ ტანჯული,
ქვეყანა გაოცებული!..
ასე კი იყო იქ წინათ!
ეხლა რა არის—ვინ იცის?!
დროს მოაქვს დიდი ცვლილება
და ყველაფერი წინ მიდის!“
სხვა სიტყვებს ყური ვერ მოვკარ:
გავქანდი გახარებული
და მივადექი სანატრელს
მთას, სულით განახლებული!
აწ ამისრულდა—ვფიქრობდი—
წადილი, გულის დამწველი;
ძლივს არა ვპოვე მგოსანთა
სამოთხე—საკურთხეველი!
იქ შევისვენებ ეხლა-კი
ბედისგან დევნილ ჩაგრული,
დასტკბება ციურ ჰანგებით
მჭკნარი, მაშვრალი ეს გული!
იქ სევდა სულთა-მხუთავი
გზას მისცემს ლხენას და შვებას,
და რწმენა აღაფრთოვანებს
ფრთა დაშვებულსა გონებას»..
აი, მთის წვერიც!.. სძგერს გული!
იმსება ტკბილის ნექტარით...
უცბად.. ოჰ, ძალნო ცისანო,
რა იყო ისა, მითხარით?!.
მთის მიდამონი მოიცვა
სისინ-ჭყვრიტინმა, ხრიალმა,
ჩხავილ-კნავილმა, ყროყინმა,
თავზარ დამცემმა ღრიალმა!
ავხედ-დავხედე სამოთხეს
და... შევსდეგ განცვიფრებული:
სად იყვნენ მუზნი, მგოსნები,
მათი მუსიკა ქებული?..
შევსწუხდი... მეტად შევსწუხდი!
კვლავ დამწვა შავმა ნაღველმა,
და მწარედ გადვიხარხარე
მე, ამ სურათის მნახველმა:
«პარნასის» მწვანე ქედზედა
ჩხაოდნენ მაიმუნები,
მათ ბანს აძლევდნენ ვირები,
თუთიყუშები, ბუები!
ტურა-მელები, ფოცხვერნი
ბაყაყნი—ზურნას უკრავდნენ
და აქლემებთან ერთადა
დათვები ლეკურს უსვამდნენ!...

გ. შაჟამ—ი.

### სიმღერა.

—

მისთვის ვკვნესი, რომ იმ კვნესამ
მსმენელთ გული დაუკოდოს..
უგრძნობელამ, უდარდელამ
შემიბრალოს, შემიცოდოს.

—

იკითხოს, თუ რა კვნესაა:
გამისინჯოს გულზე წყლული;
თანამიგრძნოს.. ამატიროს
მთლად სიცოცხლე მოწამლული..

—

ცრემლი ვღვარო, ავუძგერო
მათაც გული ულმობელი
და ფსალმუნთა ჩემის გულის
ვიყო მთქმელი, მგალობელი...

—

რომ იმ ცრემლმა დანადენმა
ჭირი ოდნავ ამსუბუქოს
და იქ ქნარმა ანაქლერმა
მსმენელთ ძალნი აქარბუქოს..

—

მისთვის ვკვნესი, რომ იმ კვნესამ
მოძმეთ გული დაუკოდოს...
გულქვავმა და ტვინყინულმა
შემიბრალოს, შემიცოდოს...

ნ. ... .

მშვენიერი ოქროში დაფერილი ვერცხლით შეჭედილის ჯვრებით და ხატებით.

წმ. ბარბარეს ხატზედ აწერია: № 64. „ქ. წმიდაო გიორგი მეოხ ეყავ მოსავსა შენსა გ̃გკს». ჩვენ ვკითხულობთ უკანასკნელს ქარაგმიანს სიტყვას «გურკვრიკელს».

2) გურკვრიკელი გურკვრელი—გურკელი სვანური—ადგილობრივია: კვრიკე სვანურად გურკე ლა—გურკა. ჩვენ ვიცით ბიბლა გურკელი, წარჩინებული ერისთავი ლაშა გიორგის დროს [5]).

წმ. გიორგის ვერცხლის ხატზედ: № 65. «ქ. წმიდაო მოწამეთა მთავარო მხნეო გიორგი მეოხ და მფარველ... სასოებით... მოსავთ,, ხატისა შენისა სასოებით შომ(ჭე დვლ...»

იელიდგან მაღლა ტყიან მთის კალთებზე გადავიარეთ ასე ექვსი ვერსტი. ხან ავეყუდებოდით, ხან ჩავეყუდებოდით. მივუახლოვდით წვირმის საზოგადოებას. ჩვენ მარჯვნივ, დაქანებულს ციცაბო ფერდობზედ ახოები გაუტეხიათ და სათიბებად უქცევიათ მშრომელ სვანებს. სასიამოვნო სანახავი იყო კაცნი და ქალნი როგორ მოსდებოდნენ სათიბებსა და ჭიანჭველასავით ფუსფუსებდნენ: ზოგი სთიბავდა, ზოგი თივას ეზიდებოდა, ზოგი ბულულებად სდგამდა. მომაგონდა ქსნის, რეხის ხეობა. წვირმის საზოგადოება ექვსი პატარა უბნიდგან შესდგება და სულ 40 კომლამდე სვანები სცხოვრობენ. აქაც გვარები ქართულია: ყიფიანი, ფანგანი, იასელიანი, გიგლეხიანი, ფირცხელანი, მუხკოვანი და კვარძიანი. სოფლები—ხიდაშიანი, ჯაბანი, თვიბერი, ლაშხუთი, სუფი და ზუგარი. აქაც ოთხი საყდარია, წმ. იაკობ მოციქულის საყდარი უკეთესია სხვებზედ და უძველესიც; საყდარს გარს ეკვდრები აქვს მიშენებული ისე, როგორც ქართლ-კახეთში. ამ საყდარში ექვსი მშვენიერი ჯვარია—სამი, სიმაღლით სამ-სამი არშინი, სამიც არშინ არშინ ნახევარი. ჯვრები დიდის ხელოვნებით მოჭედილებია ოქროში დაფერილი ვერცხლით და ზედ გამოყვანილია სხვა და სხვა წმ. სახეები ქართულის ხუცურ ასოებითა. წმ. გიორგის ოქროთი შემკულ ხატს აწერია: № 66. «ქ[illegible] გიორგი ქაშუეთისა. წმიდაო გიორგი მფარ[illegible] ექმენ მოსავსა შენსა მეხუეკვეს ა[illegible] ძეთა [illegible]თა».

მეორე წმ. გიორგის ვერცხლის ხატზედ: № 67. «ქ. წმიდაო გიორგი ქაშუეთისაო, მეოხ და მფარველ მეყავ მამკობს შენსა ჯიქაძესა დღესა მას განკითხვისას...»

ტარიან ჯვარზედ მაცხოვარს უჭირავს დროშა ბერძნულის წარწერით წმ. «აღდგომა». ზავარის საყდარში წმ. იაკობის ოქროში დაფერილს ვერცხლით შეჭედილს ხატზედ: № 68. «ქ. ჯ იაკობ ძმაო უფლისაო, რომელმან გიწოდა ძმად! წინაშე მისსა მეოხ მექმენ დღესა განკითხვისასა მოსავსა შენსა ქაჯაძეს ტიგრიანის ძესა».

პატარა ღვთის მშობლის ხატზედ: № 69. «ქ. დედაო ღვთისაო, შეიწყალე სული თეკლასი ამის», ზურგზედ № 70. «ქ. მაცხოვარო და ღმრთო ხვეხო და უოვლხო წმიდანო... სადიდებელად ხუმისა შევამკევ ხატი ესე ცოტას (ცოტხეს?) ხივთითა მეშკობი... სახსად სულის... ამის».

ამ წარწერის შუაში: «თეკლეს შეუნდე მაცხოვარო».

ამ საყდარში ვნახეთ მშვენიერი გულანი და ტყავზედ ნაწერი XI საუკ. დამდეგს დაწერილი საგალობელთა კრებული, რომელნიც ძვირფასს საუნჯეს წარმოადგენენ ჩვენის სასულიერო მწერლობისათვის.

გარედ ეზოში რომ გამოვედით, სამხრეთით გადავხედეთ ენგურის ხეობას, რომლის უფსკრულში მდებარეობს იფარი, და ჩვენს დაბლა ფეხის მონასტერი. მდებარეობა ვაკეა, სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები შედარებით წვირმელებს სხვებზე გაცილებით მეტი აქვთ.

მღვ. ბ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქმნება)

## ჩვენებური ამბები

**სოხუმი** 30 მარტს, აქაურმა საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრებამ მოისმინა საბჭოს წინადადება, რომ ბანკის თავმჯდომარესა და ორს დირექტორს დაჰკლებოდათ ჯამაგირები და ნაცვლად ამისა მისცემოდათ წმინდა შემოსავლის ოცი პროცენტი. ისე რომ ახლად დადგენილ ჯამაგირებს (თავმჯდომარეს 1800 მან. და დირექტორებს 900 მანეთთოს) რომ მიმატებოდა ოცი პროცენტი იმ მოსალოდნელი სარგებლისა, რასაც თვითონ გამგეობა იწმუნებოდა მეტი თუ იქნებოდა, თორემ ნაკლები მაინც არა იმ ჯამაგირებზე, რასაც ახლა იღებს გამგეობა. სარჩული საბჭოს ასეთის წინადადებისა ის იყო, რომ უფრო დაინტერესებულიყვნენ მოხელენი და უმეტესი ერთგულება გამოეჩინათ საქმეში.

მართალია ახლაც არავინ ყოფილა გამგეობის მომდურავი, მაგრამ ზემოხსენებული წესი საერთოდ საუკეთესოდ იქმნა ცნობილი მომავალშიაც და კიდევაც შეიწყნარა იგი, 30 მარტს საზოგადო კრებამ, ხოლო გამგეობამ ისე იწყინა, რომ ერთბაშად დაანება სამსახურს თავი და ზოგმა ს. წევრო ფულიც-კი გაიტანა. ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა დირექტორად ანთიმოზ ჯუღელი და დანარჩენის ერთის დირექტორისა და თავმჯდომარის არჩევა 2 მაისისათვის იქმნა გადადებული.

არჩევნები მოახდინეს ქალაქის საბჭოს დარბაზში. პირველად დაასახელეს კანდიდატები საბჭოს ორის წევრისა ძველების ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუვიდათ. ხმის უმეტესობა თეიმურაზ გაბუნიასა და ალ. დალს ხვდა. სანამ ყუთებს დაუდგამდნენ, კრების უმრავლესობამ მოითხოვა ყუთები ყველასათვის თვალ საჩინო ადგილზე ყოფილიყო დადგმული, რადგან იმ ოთახში, სადაც ახლა ყუთებს დგამენო. რადგაც ავი სული შედის და შავს კენჭებს ხშირად თეთრად აქცევს და თეთრს შავადო, როგორც წინანდელს არჩევნებზედ იყოვო. თავმჯდომარე და ზოგიერთი წევრთაგანი არ დასთანხმდა კრების ასეთს მოთხოვნილებას... შემდეგ მოითხოვეს, რომ თუ ყუთების გამოჩენილს ადგილზედ დადგმა არ შეიძლება, ორი ასისტენტი მაინც ავირჩიოთ და დავაყენოთ ყუთებთან, რადგან წევრთა უმრავლესობა სრულებით არ იცნობს ახალის სისტემის ყუთებსაო. არც ეს მოთხოვნილება იქმნა მიღებული. ბოლოს მოითხოვეს, რომ დაებეჭდათ მაინც ყუთები ყოველის ეჭვის ასაშორებლად, და როგორც იქმნა, დასთანხმდნენ, ამ მოთხოვნილებას. ყუთები დაუდგეს საბჭოს წევრობაზე თეიმურაზ გაბუნიასა და ალ. დალს და ორივე არჩეული იქმნენ. ამათ შემდეგ ასარჩევი იყო ერთი დირექტორი და თავმჯდომარე (ტომარას ნაცვლად). სანამ ამათ არჩევნებს შეუდგებოდნენ, წაკითხულ იქმნა მოხსენება ოცის წევრისა, რომლებიც თხოულობდნენ, რომ სრულებით მოსპობილიყო გამგეობის ჯამაგირები და ამის ნაცვლად მიეღოთ მოსალოდნელის სარგებლის ოცი პროცენტი. თავიანთს ასეთს მოთხოვნილებას მით ასაბუთებდნენ ეს ვაებატონები, რომ ომის გამო ვაჭრობა შეჩერდა და მოსალოდნელია ბანკის საქმეც კარგად ვერ წავიდესო და ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ სოხუმის ბანკს ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა—«დონისა და აზოვის» ბანკიო, რომელიც ეს სამი თვეა, რაც დაარსდა აქ.

ძალიან ეუცხოვა კრებას ასეთი მოხსენება, რადგან ეს ნამდვილ იმათგან იყო წარმოდგენილი, რომლებიც 30 მარტის კრებაზე დიდი წინააღმდეგი იყვნენ ჯამაგირების შემცირებისაც კი, არამც თუ სრულიად მოსპობისა.

რა მიზეზია, რომ უწინ ჯამაგირებს იცავდით და ახლა უჯამაგირობასაო, დაეკითხა წევრი წეროძე წევრს მარკოვს. ისაო, მიუგო უკანასკნელმა, რომ მაშინ სხვა აზრისა ვიყავი და ახლა კი სხვა აზრისა ვარო».—მაშ, რით დავრწმუნდეთ, რომ ხვალ კიდევ სხვანაირად არ შეიცვლება თქვენი აზრიო, გაისმა ხალხში...

მართლა და, რა იყო მიზეზი, თუ არ საქმის გაფუჭება «ჯინის გულისთვის», როგორც აქ ეძახიან. ყველასათვის ცხადი იყო, რომ იმ ნაირის პირობით, როგორიც მათ წამოაყენეს, არავინ არ იკისრებდა გამგეობაში სამსახურს და რაღა უნდა დარჩენოდათ, თუ არ ბანკის დახურვა სრულიად და ამით ძველის გამგეობის მომხრეთ ის ექნებოდათ სათქმელად, რომ ახალი გამგეობა ვერ შესძლებდა იმას, რასაც ძველები, თორემ, მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა ცოტათი შეჩერდა, იქამდე დიდი მოთხოვნილება არის ფულისა, რომ ტყუილა არასოდეს არ გაჩერდება ბანკში, და ყოველთვის ისარგებლებს. რაც შეეხება «აზოვისა და დონის» ბანკს, ის საურთიერთო კრედიტის საქმეს ვერ შეაფერხებს, რადგან ეს უკანასკნელი საამხანაგო დაწესებულებაა და თუ მისი წევრები თითოეული არ გაექცევიან საკუთარს ბანკს, საქმე ყოველთვის კარგად წავა.

ბევრის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობამ უარ-ჰყო ოცის კაცის წინადადება და შეუდგნენ არჩევნებს. ორის დირექტორისა, რომელთაგანაკ ერთი უნდა თავმჯდომარე ყოფილიყო. დასახელებულთა შორის ყველაზე მეტი ხმა ბ-ნ კოტლიაროვსა და ბოსტანჯოღლოს ერგოთ და კიდევაც არჩეულ იქმნენ კენჭის ყრით. ამ ნაირად შესდგა ახალი გამგეობა. ხალხოსნობის მხრივაც ნამდვილ ამხანაგურად არის მოხდენილი არჩევნები: ქართველი ერთი (ჯუღელი), რუსი ერთი (კოტლიაროვი) და ბერძენიც ერთი (ბოსტანჯოღლო).

ახლა მხოლოდ ფიქრობენ, გაუქმებულ იქმნას ზოგიერთი თანამდებობა მოხელეთა, რადგან ტომარას დროს დადგენილი შტატი ბევრად აღემატება საწარმოებელს საქმეს. რომ ამ საქმემაც აყალ-მაყალი არ გამოიწვიოს, საჭიროა საბჭომ დაწვრილებით გაარჩიოს თვითეულის მოხელის საქმე და ისე გარდასწყვიტოს, ვინ რამდენად აუცილებელი საჭიროა და ვინ შეიძლება გამოაკლდეს.

კოდო.

## უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** 1850 წელს ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო ხარჯი იყო მხოლოდ 315 მილიონი კრონი, ხოლო 1903 წელს 1,921 მილიონი.

50 წლის განმავლობაში ხარჯს უმატნია ერთი შვიდად! სახელმწიფო ვალი ჰქონდა ავსტრია-უნგრეთს 1868 წელს 5.353 მილიონი, ხოლო 1902 წელს იმატა და ავიდა 11,939 მილიონამდე. მარტო სარგებელს ეს სახელმწიფო იხდის ყოველ წლივ 500 მილიონ კრონს წელიწადში.

42 წლის განმავლობაში უძრავ მამულის ბეგარამ იმატა ერთი ხუთად. ამ ჟამად ავსტრია-უნგრეთში მხოლოდ $^{1}/_{10}$-ს მცხოვრებლებისას აქვთ წლიური შემოსავალი, რომელიც აღემატება 1200 კრონს (480 მან.).

**საფრანგეთი.** საფრანგეთის სკოლებში მოსწავლეთათვის დაარსებულია 1902 წლიდგან დოქტორ მატიეს მიერ ლიგა ექიმთა და მშობელთა ფიზიკურ და ინტელექტუალურ ჰიგიენის გასავრცელებლად. დღეს ამა კავშირის წევრთა რიცხვი აღის 500-დე. აზრი კავშირის დაარსებისა შემდეგია: 1) მიაქციოს საზოგადოებამ ყურადღება მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებას, 2) დაამტკიცოს საჭიროება ექიმთა და მშობელთა მხურვალე მონაწილეობით ფიზიკურ და ინტელექტუალურ ორგანიზაციისა სკოლებში. 3) ჩააგონონ ყველას, რომ ბავშვების ფიზიკურ ვარჯიშობას და წმინდა ჰაერზედ ყოფნას მიქცეულ უნდა ჰქონდეს დიდი ყურადღება.

ამ კავშირმა 1903 წლის გასულს დაადგინა გამართოს კონგრესი განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1) საექიმო ინსპექცია პირველ დაწყებით სკოლათათვის;

2) განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ექიმისა სკოლაში;

3) ხანგრძლივობა და განსაზღვრა სამეცადინო დროსი მოსწავლეთა ჰასაკის შესაფერად;

4) შედარებითი დაფასება დილისა და ნასადილევის მეცადინეობისა.

**იაპონია-** გაზ. „ნოვ“.-ში დაბეჭდილია კერძო წერილი ერთის გერმანელის კომერსანტისა, რომელსაც დიდხანს უცხოვრია იაპონიაში. ავტორი წერილისა ამბობს, რომ იაპონელებს ისეთი ერთობა არა აქვთ, როგორც ევროპიელებს ჰგონიათო. მხოლოდ ერთში არიან შეთანხმებულნი იაპონელნი. და იმათ სწამთ, რომ რჩეული ერი ვართო, ყველა სხვა ერზედ მაღლა ვდგევართო. პირველიდან უკანასკნელამდე ყველა ძენი ვართ ღვთისაო და მსოფლიო ისტორიაში დიდი, მეტად დიდი როლი მოგველისო.

უმწვერვალესი მიმართულების მიმდევარნიც-კი, ესრედ-წოდებულნი რადიკალნი, რომელნიც აძაგებენ იაპონურ წეს-ჩვეულებას, უკულტურობას, ისინიც კი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ათასი ნაკლულევანებაც გვქონდეს მაინც ჩვენ უფრო მაღლა ვდგევართ ევროპის ყველა კულტურულ ერზედაო.

გაიმარჯვებენ, თუ წააგებენ იაპონელები ამ ომში, მაინც დიდს მუშაობას შეუდგებიან და მოვა დრო, რომ იაპონია გაერთიანდება, ერთის აზრით განიმსჭვალება, ააფრიალებს დროშას და ზედ დააწერს: «ხელი უშვით აზიასაო». ევროპას შესძახებს ამას და იქმნება კიდეც გაიმარჯვოს.

## ნარკვევი

ვლადივოსტოკში არსებობს ინსტიტუტი აღმოსავლეთის ერთა ენებისა, რომლის აზრი და დანიშნულება ის არის, რომ შეისწავლოს ყოველ მხრივ შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა იქაურ სხვა და სხვა ტომისა და ხალხისა. ამ ინსტიტუტმა დაბეჭდა ამას წინად «ისტორია იაპონიის ლიტერატურისა», ვ. გ. ასტონის მიერ შედგენილი.

ავტორს შეუსწავლია დაკვირვებით იაპონიის მწერლობა და თავის აზრს ამ მწერლობის შესახებ ასე დასკვნის: თუმცა დიდად არას იაპონიის ლიტერატურა დამოკიდებული ჩანსთზედ, თუმცა განუკითხველად და გულ-დანდობით ემორჩილება სხვათა ხელმძღვანელობას, ამ ლიტერატურამ დაიცვა მაინც უეჭველი ნიშნები ეროვნულის განითლობისა. ეს ლიტერატურა ლიტერატურაა მამაც, ზრდილობიან, მხიარულ ერისა, ლიტერატურაა იმ ერისა, რომელსაც უყვარს გართობა-გამართვილება, რომელიც უფრო ჭკუდნელია, ვიდრე გულის-თქმით სავსე, მამხნეველი და ფრთხილი, მსწრაფლ, გარნა არა ღრმად შემგნებელი. ეს არის ლიტერატურა მოხერხებულ, ოსტატის ხალხისა; თუმცა კი არა მგონია ამ ხალხს ჰქონდეს ნიჭი და უნარი მაღალის სალიტერატურო მოღვაწეობისა. იაპონიის ერს დიდი ნიჭი აქვს შეთვისებისა, დიდი წყურვილი ცოდნისა, სურვილი ფაქიზისა და ენა-მოქარგულის ლაპარაკისა, მაგრამ იშვიათად კი მიაღწევს ხოლმე ამ მხრივ აღმაფრენას, აღტაცებას».

[illegible]

## თეატრი და ხელოვნება

**წარმოდგენა ვ. აბაშიძის სასარგებლოდ.**

შაბათს, 29 მაისს ქართულის თეატრის მსახიობნი წარმოდგენასა ჰმართავენ ჩვენის ნიჭიერის და დამსახურებულის არტისტის ვ. აბაშიძის სასარგებლოდ, რომელიც, ექიმების რჩევით, უთუოდ უნდა გაემგზავროს სამკურნალოთ წყლებზე ქარების განსაკურნებლად, რომელმაც ამ დროს ძრიელ შეაწუხა ჩვენი საყვარელი არტისტი.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარელისა, კარგარეთელი, დავითაშვილი და ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, შათირიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვანი. წარმოადგენენ პროტოპოპვის ცნობილს პიესას «ცხოვრების გარეშე».

## წერილი

**რედაქციის მიმართ.**

პასუხად (ლ-ხს ლადიკოს).

მე წავიკითხე თქვენი კორესპონდენცია «ივერიის» მე-48 №-ში, სადაც ქართული გალობის საქმეს ეხებით. მოგწონთ ალისუბნის სკოლის ბავშვების სიმღერა-გალობები. სწერთ: «ნამეტნავად მოსაწონია ქართული გალობა ოთხ ხმაზე გადაკეთებული და ნარევი კახური კილო! ამ გალობამ დამავიწყა ფრთებ შეკვეცილი ხუნდაძის (!!) გალობა, რომელმაც ძირი გამოუთხარა მამა-პაპურ კილოსაო». ეს უკანასკნელი სიტყვები, რომ კერძოთ მარტო ჩემს საკუთარ საქმეს შეეხებოდეს, შესაძლებელი იყო, ხმაც არ გამეცა თქვენთვის, მაგრამ ბ-ნო ლადიკო, თქვენ შეეხეთ მთელ დასავლეთ საქართველოს მამა-პაპათაგან ნაანდერძევ კუთვნილებას, რომელიც, ვინ იცის, რა წვითა და დაგვით შეუძენია, ღვთის ტაძარში სახმარებლად, ღვთის სადიდებელ წმიდა ლაღადებად მიუჩნევია და ხალხს სწამს იგი, როგორც წმიდათა წმიდა. ეს საღვთო გალობა ერის სულის სიმტკიცეა, სჯულის რწმენაა და პირჯვრის საწერი იარაღი. წმიდა სამლოცველო ტაძარში უწმიდესი ხმებია მორწმუნეთა ლოცვის ზეცას აღმავლენელად ხალხის გულიდან ამონადენი ეს საუკუნოებიდგან ხარებული, ხალხის რწმენისა და სმენის სიღრმეში ფესვ გადგმული, შემტკბარ-შესისხლხორცებული საღვთო ხმები, რომ კაცმა ხალხს ტაძრიდან გამოუძეოს, ძირი გამოუთხაროს, როგორც თქვენ ამბობთ, ბ-ნო ლადიკო, ეს იქნება, იგივე ხალხის ტაძრიდან გაძევება, და სულიერ საზრდოს გულიდან ამოგლეჯა! ამ ერის სათაყვანებელ საგნის ძირის გამოთხრა, ერთი კაცის გემოზე გადაკეთება, მე მგონია რისმე გაკეთება კი არა, დიდი და მიუტევებელი ღალატობაა! უცვლელად დაცვა და სინამდვილით გადაცემა მომავალისთვის, სავალდებულოა.

პროგრესი ყოველ საქმეშია საჭირო და აგრეთვე გალობის საქმეშიაც. ამისდა მიხედვით ქართული გალობის გადაკეთება მომავალის და სპეციალისტების საქმეა; გადაკეთებულის მოწონება კი, ერისა და კიდევ სპეციალისტების საქმეა და არა მარტო თქვენი. მე ეს ასე მესმის. თქვენ კი ამ მძიმე საქმეზე ერთს წამსაც არ დაფიქრებულხართ, ისე ერთის ცულის გამოკვრით მოსპეთ, და გამირონიეთ რამოდენისამე წლის ნაშრომი! სოცარი ცილი დამწამეთ; ვითომ მე ძირი გამოვუთხარე მამა პაპათა განძს, გალობას! მე, როგორც ქართულის გალობის მცოდნემ, ვიკისრე მევე დამეწერა ნოტებზე ქართული გალობა უცვლელად, სწორედ ისე, როგორც ჩვენი მამა-პაპა გალობდა.

წირვის წესები, მთელი რვა ხმა პირველი ტონი, ღამისთევის გალობანი სრულად და მრავალი სხვა გალობა დაწერილი მაქვს. სამივე წირვის წესები ერთ ხმაზე კიდევაც დაიბეჭდა იმერეთის სამღვდელოების ხარჯით. ახლა «პარტიტურა» (სამივე ხმა) უნდა დაიბეჭდოს და ამ დროს თქვენ ბრძანებთ, რომ მე ძირი გამოვუთხარე მამაპაპურ კილოს!!

გთხოვთ, დაუმტკიცოთ საზოგადოებას ჩემი მძიმე დანაშაული და თქვენის სიტყვების სინამდვილე შემდეგის წესით: დავნიშნოთ ერთი დრო ამ საქმის გასარჩევად ქ. ქუთაისში და გამოაცხადეთ თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი. მე [illegible] მხრით ვნიშნავ ყველასაგან [illegible] სტესსელი, საუკეთესოდ გალობის მცოდნეებზე, თუ ანტონ დუმბაძეს, მამა და [illegible] დიმიტრი ჰალაგანძეს, კაცხტურის ფორწინამძღვარს არხიმანდრიტს ვიცით. (კანდელაკს) და მღვდ. მამა ურუპატკინი რეთელს. სხვა ვინც გნებავთ, გაილაშმატეთ; მობრძანდით თქვენც და ექმნებით მეც. ამათ მოვასმენინებ მე ჩემიც ნოტებზე გადაღებულს გალობას საზოგადოების თანადასწრებით. ესენი იქმნებიან საუკეთესო შემომწმებელნი ჩვენის მამა-პაპურის გალობისა. გარდა ამისა, თქვენგან არაფერის თავის მართლებას არ მივიღებ და არც საფუძვლი ექნება. აქვე დავუმატებ: ვინც ჩვენ ორში გამტყუნდეს, იმან გარდიხადოს ხუთი თუმანი სოფლის კალაგონის ღვთისმშობლის ეკკლესიის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ.

მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე.

**„ივერიის“ ფოსტა.**

**ს. რ**—ძეს თქვენი ესკიზი «ყანაში» არ დაიბეჭდება. არც წინად გამოგზავნილი ორი ეტიუდი დაიბეჭდება.

## დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

20 მაისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის ტრეპოვისა: «ჯარის სარდალმა, რომ დროიანად მიუვიდეთ ჯარებს შეწირულებანი, რომელიც იგზავნება გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის სახელზე, ბრძანა, ლაშქრის სანიტარულ განყოფილების უფროსის სამმართველოსთან დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტი ჩემის პირადის ხელმძღვანელობითა, ხოლო კომიტეტს მიანდო მიღება და დარიგება საჩუქრებისა და შეწირულებათა იმ ჯარებში, რომელთაც ეგზავნებათ».

**მუკდენი.** 20 მაისი (საკუთ. კორეს.). როგორც შევიტყეთ, იაპონელებმა 13 მაისს ცინჯოუს სიმაგრეზე იერიში მიტანა იწყეს დილის ხუთი საათიდან. იაპონელებმა გაუშვეს იერიშზე სამი დივიზია 120 ზარბაზნითა; მტრის ოთხი საკანონერო ნავი და ექვსი ნაღმოსანი ყუმბარების სროლით შეეწივნენ იერიშსა. დიდი ნაწილი ჩვენის არტილერიისა დაზიანებუ-

[5]) იხ. ქ.-ცხ. I, 340 გვ.

ლი აღმოჩნდა, და იაპონელთა ქვეითა ჯარმა დაუწყო ჩვენი სიმაგრის მარცხენა მხარეს შემოვლა. ჩვენმა რაზმმა, რადგან ერთობ დიდი ძალა იყო მტრისა, საღამოს რვა საათზე მიატოვა სიმაგრე და დაიწია ნანგუანლისაკენ და თან წაიღო მთლიანად დარჩენილი ზარბაზნები. ჩვენ მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 30 აფიცერი და 800 ჯარის კაცი. იაპონელთა ზარალი დიდი უნდა იყოს.

**ჩიფუ.** (რეიტერ. სააგ.). დაგუშანიდან მოსულნი ჩინელნი იუწყებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს დაგუშანში 8—10 ათასამდე გადმოსხდა იაპონელთა ჯარიო. ისინი წავიდნენ ფინხუანჩენისკენ, საითკენაც სხვა ადგილებიდანაც გაიგზავნენ ჯარები.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობის სახელზე 19 მაისისა; «ფინხუან-ჩენისაკენ მშვიდობიანობაა. ქალაქი საიმაძი, რომელიც 18 მაისს იაპონელებმა დასცალეს, კვლავ დაიჭირეს ჩვენმა ჯარებმა. 18 მაისს ლაოლინის უღელტეხილზე, სიუიანიდან 14 ვერსზე სამხრეთად, მზვერავებს სროლა ჰქონდათ იაპონიის ორ როტასთან და ნახევარ ესკადრონთან. ჩვენ ერთი ყაზახი დაგვიჭრეს. ინკოუსა და გაიჩჟოუსიან ცვლილება არ მომხდარა-რა.

**მოსკოვი.** საერო სამინისტროს გამგემ მიიღო სამოსწავლო ოლქის, სახალხო სკოლების დირექციების მოხელენი და უფროსები საშუალო სასწავლებლებისა. მისალმების დროს სთქვა: «მოხარული ვარ თქვენის ნახვისა და მოსკოვში ყოფნისა, რომლის სასწავლებლების შესახებ ბევრი რამ კარგი მსმენია უწინ; იმათი მცირე ნაწილის დათვალიერებამ კარგი შთაბეჭდილება იქონია. ვიცი, თქვენი შრომა მძიმეა, მაგრამ თქვენი სული ამ საქმისაკენ მიისწრაფვის, ამისთანა შემთხვევაში კი არავითარიმე შრომა საშიში არ არის. მე დარწმუნებული ვარ, ის მძიმე ყოფა, რომელშიაც დღეს ჩვენ ვართ, სწრაფლ წამავალია, იმედი მაქვს, რომ თქვენის საქმისადმი სიყვარულის და თქვენის ენერგიით, ჩვენი სკოლაში ულაპარაკოდ მოსპობა იმ მეტხორცისაგან, სპონდენტთან დღეს ქვეყნებმა შესძლენეს — თქვენ გინდ ყველაფერს სძლევს. გაიაპონიისა და ... ვიცი, საკმაოა კაცმა რასაც მე გეტყვა წარმოსთქვას და საქმე არის. ამავე დადგება ხოლმე. მთავრობა როსი გარდიგაგიწიოთ დახმარება, რაც კი ჩვენ ... იმედი მაქვს თქვენის გამოცდილება, თქვენის ერთგულობისა საქმისა და ... ოსადმი». უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში წარუდგნენ რექტორი და პროფესორები. გაიხსენა რა, რომ ზოგიერთი პროფესორები უნივერსიტეტისა იმისი მასწავლებელნი იყვნენ, გენერალმა ილაპარაკა, თუ რა სასიქეთოა კავშირი უნივერსიტეტისა სხვა სასწავლებლებთან. მოსკოვის უნივერსიტეტი მუდამ იფარავდა მოსწავლეთ მავნე აზრთა განვლენისაგან. პროფესორებმა ბევრი ჭკუა, ენერგია, სული და გული მოანდომეს, რომ დაეხსნათ იმ აზრებისა და მათ შედეგებისაგან. გენერალმა იმედი გამოსთქვა, რომ უნივერსიტეტი კვლავაც ასევე მოიქცევა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წარუდგინეს ტეხნიკურის სასწავლებლის პროფესორები, რომელთაც გენერალმა უთხრა, ეხლა სამრეწველო განათლების წინწაწევის ხანაა, მაგრამ ასე-კი, რომ საზოგადო განათლებას ვნება არ მიეცესო.

**სტამბოლი.** პორტამ აღუთქვა ელჩებს, ხვალ ან ზეგ შეატყობინებთ დაბოლოებით მაკედონიის ჟანდარმერიის საქმის ფინანსიურის მხრით დაკმაყოფილების შესახებო. რადგანაც ოსმალეთის ფლოტს აახლებენ ახალი გემების შეძენით, ინგლისმა აქაურ საელჩოსთან დააწესა საზღვაო აგენტის თანამდებობა

**ბერლინი.** იაპონიის ელჩმა აუწყა, ადმირალმა ტოგომ გამოაცხადა, რომ 13 მაისიდან მთლად ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის სანაპირს, ბიცზივიდან პულიანდიანამდე, ალყა შემოკრულიაო და ამ ალყას შევიმაგრებ შემდეგშიაცო.

**პარიჟი.** შანჰაიდან იუწყებიან, რომ კორეის დასავლეთ ნაპირებთან სჩანდა იაპონიის 15 დიდი სატრანსპორტო გემი ჯარებითა, რომელიც, ეტყობოდა, იალუს შესართავისაკენ მიჰყვდათ.

21 მაისი.

**პეტერბურგი.** მთავარ შტაბთან დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა განაგოს საქმე შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილთა და ავად გამხდართა. თავმჯდომარეა გენ.-ლეიტ. პოტოცკი. ვიდრე სხვა ცალკე კომისიები დაარსდება, ავადმყოფისა და დაჭრილის პატრონმა უნდა მიჰმართოს პეტერბურგის სამხედრო ოლქის შტაბს. დაბინავებ. და მოვლა ავადმყოფთა და დაჭრილთა ჯერ-ჯერობით განზრახულია მხოლოდ ირკუტსკსა, ომსკსა, ჩელიაბინსკსა და მოსკოვში და პეტერბურგის სამხედრო ოლქში. თუ მაინცა და მაინც სხვაგანაც მოინდომებენ დაჭრილთა და ავადმყოფთა დაბინავებას, კომისია ასეთს სურვილს დიდის სიამოვნებით მიეგებება. ადრესი კომისიისა: Петербургъ, Английская Набережная, № 32.

**პარიჟი.** რაკი რუსეთის მთავრობამ მოითხოვა. შეიპყრეს რუსეთის ქვეშევრდომი დომინიკ ლიაზოვსკი, რომელსაც ჰბრალდება 60.000 მან გატაცება მოსკოვის სამრეწველო საზოგადოებისა.

**პარიჟი.** ოფიციალური ცნობა აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ნუნცი ლორენცელი არ დაესწრო სტუმრიანობას, რომელიც დელკასემ გაჰმართა ასევე გამგე საფრანგეთის მისიის საქმეთა ვატიკანში არ დაიარება კარდინალთან.

**სოფია.** აქაურმა სამხედრო სასამართლომ გადუწყვიტა მწერალსა და დეპუტატს პროფესორს სტოიან მიხაილოვსკის, რომელიც მაკედონიის კომიტეტის თავჯდომარედ იყო, 7 თვით ციხეში დაპატიმრება მთავარის შეურაცხ ყოფისა და ცილის წამებისათვის სავაზეთო წერილებით. სასამართლომ შეაყენა განჩინების აღსრულებაში მოყვანა

**სიმფეროპოლი.** წავიდა შორეულ აღმოსავლეთს ტავრიდის ქსენონი 200 საწოლითა, მოწყობილი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელზედ გუბერნატორის ტრეპოვის თაოსნობით. ტრეპოვს შეეწია ერობა და მთლად მცხოვრებნი გუბერნიისა.

**რიაზანი.** ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად-უმაღლესად უბოძა 3000 მანეთი რიაზანის ღარიბთათვის დასარიგებლად ნიშნად იმისა, რომ რიაზანში ბრძანდებოდა.

**მუკდენი.** (რეიტ სააგ.). როგორცა სჩანს, გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ამ ჟამად ჰგრძნობს ძალას შესამჩნევად წაიწიოს წინ მტრის საოტებლად. ყაზახთა მოქმედება ამტკიცებს, რომ რუსნი საოტებელ ტაქტიკას დაადგნენ ხაიჩენის სამხრეთად; პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარიც იჩენს თაოსნობით მოქმედების უნარს. ჰგონებენ, რომ ხანგრძლივი გარშემოდგომა მოელის იაპონელებისა ამ ციხეს.

**ტიანძინი.** (რეიტ. სააგ.). ყოველ დღე ბრძოლა იმართება მოწინავე რაზმებისა ვაფანდინის მახლობლად. ლიაოდუნიდან მიიყვანეს დაშიციეოს 60 დაჭრილი რუსი; ზოგიერთის ჭრილობა ხმლისაგანა აქვს. ეს გარემოება ჰმოწმობს, რომ ცხენოსან ჯარებსა ჰქონიათ ერთმანეთში ბრძოლა.

**ტიანძინი.** (იგივე სააგ.). უზენაესმა საბჭომ პეკინში მიმართა რუსეთის ელჩს ქაღალდითა და გააფრთხილა, რომ როცა რუსთა ჯარი სცლის არა თუ იმ ადგილს სანეიტრალო სამზღვართა შორის, არ უნდა ანგრევდეს შენობათა, რომელიც იქაურ მკვიდრთ უჭირავთ, რადგანაც შესაძლოა ამას დიდი უწესოება მოჰყვეს. საბჭომ გენერალ ძის დეპეშა გაუგზავნა და შეუთვალა, აცნობე ესევე რუსთა ოფიცრებსაო.

**პეტროზავოდსკი.** საგუბერნიო საბჭომ სასურველად სცნო, რომ, რაკი ბევრგან განსაკუთრებული წესი და ადათია, ამიტომ შესაძლოა რაოდენადმე ნებადართულ იქმნას, რომ გლეხთა-შორის ჩვეულებისა და ადათისამებრ გადაწყდებოდეს ხოლმე საქმეებიო.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
11 მაისი 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,50 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 88 ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მოგ.-ბილ. 1864 წ. | 374 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | 294 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 260½ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურც. | — |
| 5% ... ავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სააღ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.
(2—141—2).



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
„ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს. ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

თანახმად **უმაღლესად** დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამ ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე 7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიაც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ ქაიხოსრო დავითის ძის ავალიშვილის მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის კვიტანცია ას-ორმოცდა-ათი მანეთისა (150), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ თ-დ ავალიშვილს.
(3—6—3).

# იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.
(10—6—10)

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

# „ნადეჟდა“-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

**11 აპრილიდან გადატანილ იქნება**

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.
შესასვლელი ექზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.
საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.
საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108.
(5—6.—5)



ამერიკის
**ავტომობილები**
ბენზინით მოძრავი
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.
**Акц. О-во „ЭНФИЛЬДЪ“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**
СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
**Б. М. МИРИМАНЯНЦЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—24)

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ს.-პეტერბურგის კომპანია
# „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**და არსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| მარითადი თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, იფუებისა ვაგონებისა და ვაგონ ცისტერნისა.

დ) დაზღვევა ფასისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გაროვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—32)



# სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან
მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მ...ის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალა. ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** ...რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—2)

Дозволено цензурою Тифлисъ 21 мая 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.